სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №12

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. მცხეთა

,,6'' დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), **მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დირექტორის გრიგოლ ყაჩლავაშვილის** **სახით** და მეორეს მხრივ **შპს „ ნოვი სტილი ჯორჯია"(შემდგომში ,,მიმწოდებელი''),** წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ შალამბერიძე სახით (ქ. თბილისი ერისთავის ქ N5 . ს/კ 204546688) საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს მცხეთის მუნიც-იპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის საოფისე სკამების შესყიდვა

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა ლარი	Spv კოდი
1	საოფისე სკამი (C 26)	10 ცალი	37 ლარი	370 ლარი	SPV39112000

1.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 370 ლარი (სამასსამოცდაათი ლარი)
მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით ,,მიმწოდებლის'' მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

2.საქონლის მიწოდების ადგილი, მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 6 დეკემბერი
2.2 ხელშეკრულების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 20 დეკემბერი

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4.1.2. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით

4.2.2. უზრუნველყოს საქონლის მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

4.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.4.2. მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ამ ხელშეკრულებით.

5.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 საქონლის მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,2 %-ის ოდენობით.

5.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო კანონმდელობოით დადგენილი წესით.

5.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

5.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/ და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1.ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებე, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებით ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით; ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით;

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

8.ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხიმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. თუ ,,შემსყიდველი'' და ,,მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.სხვა პირობები

10.1გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10.2.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.3 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.4ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე 2 (ორ) ეგზემპლარად და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი

ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

ფაქტიური მის: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73

ტელ.ნომერი: 551 25 05 68

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22

ს/კ 436 254 857

დირექტორი ---------- გ. ყაჩლავაშვილი

მიმწოდებელ

შპს ,,ნოვი სტილი ჯორჯია"

მისამართი: ქ. თბილისი , ერისთავის ქ N5

მომსახურე ბანკი: საქართველოს ბანკი

ა/ა GE30BG0000000247650000

ბ/კ BAGAGE 22

ს/კ 204546688

დირექტორი ---------- მ. შალამბერიძე

ქ. მცხეთა მიღება -ჩაბარება 7 დეკემბერი 2018 წელი

N 9

მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორის მოადგილემ თ. ვოლკოვმა, დირექტორის თანაშემწემ კ. ქავთარაძემ და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მთ.სპეციალისტმა ლ. ატაშვილმა ჩავიბარეთ შპს ,,ნოვი სტილი ჯორჯია" დირექტორი მ. შალამბერიძისგან საოფისე სკამები :

#		რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა ლარი	Spv კოდი
1	საოფისე სკამი	10 ცალი	37 ლარი	370 ლარი	SPV39112000
	?				

სულ : თანხით 370 (სამასსამოცდაათი) ლარი

ჩაგვაბარა: მ. შალამბერიძე

ჩავიბარეთ : თ. ვოლკოვი

კ. ქავთარაძე

ლ.ატაშვილი

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0420284043

2	07/12/2018	3	12:16:32
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ნოვი სტილი ჯორჯია	204546688	5	მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა	436254857
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი		მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ქ.თბილისი, ერისთავის ქ. # 5
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)
8	მცხეთა
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზ. ტრანსპორტი	10	X	
	ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო სამუალების სახელმწიფო ნომერი	მისაბმული

11	სატრანსპორტო სამუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	სკამი იზო C-26	00097	ცალი	10.0000	37.0000	370.0000

13	370 - სამას სამოცდაათი ლარი და ნული თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14		15	
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
16		17	
	ხელმოწერა		ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 07/12/2018, 14:29:02